პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა დეპუტატთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 80-ე წელი

ოთხშაბათი, 24 მაისი, 1950 წ. № 107 (8667). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

პირველი თანასწორთა შორის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ო. გროტეოლის წერილი აბაზანა ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
აკადემიკოსი ნ. დერეფაევი—დიდი რუსი ხალხი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალა (მე-2 გვერდი).
სასოფლო საბჭო მეცხოველეობის ინსტიტუტის ბრძოლაში (მე-3 გვერდი).
ინფორმაციისთვის
ბ. ლომთათიძე — რუსთავის არქეოლოგიისათვის (მე-3 გვერდი).
კოლგზიანტორეები კაკაბეთიდან (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

პირველი თანასწორთა შორის

ხუთი წლის წინათ, 1945 წლის 24 მაისს, სსრ კავშირის მთავრობამ კრემლში საბჭოთა არმიის ჯარების სარდალთა პატივსაცემად მოაწყო მიღება, რომელსაც დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, საბჭოთა არმიის და ხომალდრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები, საბჭოთა მწერლობის, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები.

ამ ღირსშესანიშნავ მიღებაზე საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა ამხანაგმა სტალინმა ადღეგრძელა ჩვენი საბჭოთა ხალხი და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხი—უფროსი ძმა საბჭოთა ქვეყნის თანასწორუფლებიან ხალხთა შორის, ყველაზე უფრო გამოჩენილი ეი საბჭოთა კავშირში შემავალ ყველ ერთა შორის.

თავის სადღეგრძელში ამხანაგმა სტალინმა თქვა:

„მე მინდა წარმოთქვა ჩვენი საბჭოთა ხალხის და, უწინარეს ყოველისა, რუსი ხალხის სადღეგრძელო.

მე, უწინარეს ყოველისა, ესეგან რუსი ხალხის სადღეგრძელს ამიტომ, რომ იგი არის ყველაზე უფრო გამოჩენილი ეი ყველ ერთა შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიან.

მე ვადღეგრძელებ რუს ხალხს იმიტომ, რომ ამ ომში მან დაიმსახურა საყოველთაო აღიარება, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალისა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შორის.

მე ვადღეგრძელებ რუს ხალხს არა მარტო იმიტომ, რომ იგი ხელმძღვანელი ხალხია, არამედ იმიტომაც, რომ მას აქვს ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მოთმინება“.

ამხანაგ სტალინის ეს სიტყვები გამოხატავენ ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მილიონების ფიქრებს და გრძნობებს. ყველგან ადიდებენ დიდ რუს ხალხს, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის მეთაურობით პირველად ისტორიაში ააშენა სოციალისტური საზოგადოება და დაიცვა იგი გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველგან ადიდებენ დიდ რუს ხალხს, რომელმაც, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა, უმადაოდთო გმირობა გამოიჩინა სამამული ომში, გაანადგურა გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები, თავისუფალი განვითარების გზა გაუხსნა ევროპისა და აზიის მრავალ ხალხს.

დიდი რუსი ხალხი ბუდან იძლეოდა სამშობლოსადმი ერთგულების ნიმუშს, როგორც თავისი უფლებებისათვის, ისე სხვა ერთა უფლებებისათვის თავდადებული ბრძოლის ნიმუშს. არა მარტო რუსი ხალხი, არამედ მთელი მოწინავე კაცობრიობა ამაყობს ლომონოსოვი და რადიშჩევი, ბელინსკი და გერცენი, ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი, პუშკინი და ტოლსტოი, გლინკა და ჩაიკოვსკი, გორკი და ჩეხოვი, სეჩენოვი და პაველოვი, რეპინი და სურიკოვი. რუსეთი გახდა სამშობლო რუსული და მსოფლიო კულტურის უმაღლესი მიღწევის — ლენინ-მისა.

დიდი ლენინი და დიდი სტალინი რუს ხალხს ზრდიდნენ თავისი ერისა და მეზობელი ერებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით. ისინი იბრძოდნენ ისეთი სახელმწიფოს შექმნისათვის, რომელშიც რუსი ხალხი სხვა ხალხებთან თავის ურთიერთობას დაამყარებდა თანასწორობის და ურთიერთპატივისცემის პრინციპზე. ასეთი სახელმწიფო შექმნა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ამ რევოლუციით რუსმა ხალხმა არა მარტო თავისთვის მოიპოვა თავისუფლება, არამედ შექმნა პირობები ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა განთავისუფლებისთვის, ხელი შეუწყო, ყოველმხრივ დაიხმარა მათი განთავისუფლების საქმეს. რუსი ერის მეთაურობით შეიქმნა და განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიდი სტალინური მეგობრობა, რომელიც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომელიც ახლა ისე მტკიცეა, როგორც არასოდეს არ ყოფილა.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიან მეგობრულ ოჯახში დიდი რუსი ხალხის ყურადღებითა და დახმარებით გაიფურჩქნენ და დაწინაურდნენ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკები და მათ შორის საქართველოც. ქართველმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის უწყვეტ დახმარებით მოიცალა ცარიზმისა და მეწიწეიკების უღელი, დაამყარა საბჭოთა ხელისუფალება და ააშენა სოციალისტური საზოგადოება. დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად, განვითარდა და უმაგალითოდ აყვავდა მისი კულტურა და მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა.

რუსი ერის დამოკიდებულებას სხვა ერებთან, რუსი ხალხის პატრიოტიზმს, საერთო არა აქვს რა „რიგული“ ერების დამოკიდებულებასთან „არა რიგული“ ერებისადმი, ისეთ ურთიერთობასთან ერებს შორის, როგორც კაპიტალისტური წყობილების დროს არსებობს.

დიდებულად ეღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნის სიტყვები:

„თავისუფალ ერთა მძლე კავშირი
ძმური
შეუერავს მუდმივად დიდ რუსეთის
ხალხს“.

მთელი თავისი მრავალსუბუნოვანი ისტორიის მანძილზე რუსი ხალხი შედგამ გმირულად იცავდა თავის ქვეყანას უცხოელ დამპყრობთაგან. განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი რუსი ხალხის ნათელმა გონებამ და მტკიცე ხასიათმა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში. რუსმა ხალხმა, მთელმა საბჭოთა ხალხმა იცოდა, რომ ჩვენი მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას ბოლშევიკების პარტია და რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი სტალინი, არის ერთადერთი სახალხო მთავრობა, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული მთავრობა. რუსი ხალხის ნდობა თავისი მთავრობისადმი იყო გადამწყვეტი ფაქტორი დიდ სამამულო ომში გამარჯვების მოპოვებისათვის. 1941 და 1942 წლებში, როცა ჩვენი ქვეყანა უმძიმეს განსაცდელში იყო, რუსი ხალხი კიდევ უფრო გაასალდვედა, კიდევ უფრო მტკიცედ დგომაზეა ლენინ-სტალინის პარტიისა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

რუს ხალხს, თქვა თავის სადღეგრძელოში ამხანაგმა სტალინმა „სჯიროდა თავისი მთავრობის პოლიტიკის სისწორე და გაიღო მსხვერპლი, რათა უზრუნველეყო ვერმანიის განადგურება. და რუსი ხალხის ეს ნდობა საბჭოთა მთავრობისადმი აღმოჩნდა ის გადამწყვეტი ძალა, რომელმაც უზრუნველყო ისტორიული გამარჯვება კაცობრიობის მტერზე, — ფაშიზმზე.

მადლობა მას, რუს ხალხს, ამ ნდობისათვის!“.

ამ წელზე მეტი ხნის წინათ დიდი რუსი გენიალო

დიდი რუსი ხალხი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალაა

ხუთი წლის წინათ, 1945 წლის 24 მაისს, საბჭოთა ხალხის დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა კრემლში წითელი არმიის ჯარების სარდალთა პატივსაცემად გამართულ მიღებაზე წარმოთქვა რუსი ხალხის სადღეგრძელო.

საბჭოთა ხალხს, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში უდიდესი გამარჯვება მოიპოვა რეაქციის შავბნელ ძალებზე, ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„მე მინდა წარმოვთქვა ჩვენი საბჭოთა ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, რუსი ხალხის სადღეგრძელო.

მე, უწინარეს ყოვლისა, ვსვამ რუსი ხალხის სადღეგრძელოს იმიტომ, რომ იგი არის ყველაზე უფრო გამოჩენილი ერი ყველა ერთა შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიან.

მე ვადღეგრძელებ რუს ხალხს იმიტომ, რომ ამ ომში მან დაიმსახურა საყოველთაო აღიარება, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალისა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შორის.

მე ვადღეგრძელებ რუს ხალხს არა მარტო იმიტომ, რომ იგი ხელმძღვანელი ხალხია, არამედ იმიტომაც, რომ მას აქვს ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მოთმინება“ (ი. ბ. სტალინი. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ. მე-5 გამოც. 1949, გვ. 206).

ეს სიტყვები ღრმად აღიბეჭდა თვითეული საბჭოთა ადამიანის გულში. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ რუსი ხალხი იყო ის მძლავრი მაორგანიზებელი ძალა, რომელმაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დარაზმა ყველა სოციალისტური ერი საბჭოთა ხალხების ერთიან ურღვევ ოჯახად.

საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებს შორის რუსი ხალხის ხელმძღვანელი მდგომარეობა განისაზღვრა ჩვენი სამშობლოს ისტორიული განვითარების მსვლელობაში და მან უზრუნველყო საბჭოთა სახელმწიფოს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

რუსი ხალხი ჯერ კიდევ თავისი ისტორიის გარიჟრაჟზე გამოვიდა როგორც აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის უდიდესი მიწის სივრცეების სამეურნეო და კულტურული ათვისების მაღალი ისტორიული მისიის მატარებელი. თავისი სახელმწიფოებრიობისათვის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში, იმორჩილებდა რა ბუნების სტიქიონებს, მან გაიკაფა გზა ბალტიკის და შავი ზღვის ნაპირებისაკენ, ყინულოვანი ოკეანის მკაცრ კლდოვან კუნძულებისაკენ და წყნარი ოკეანის შორეულ სივრცეებისაკენ, შუა აზიის მცხუნვარე უდაბნოებისა და იმიერპოლარეთის თოვლისაკენ. თავის დიდ შემოქმედებითს მუშაობაში რუსმა ხალხმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, რომელიც არა ერთხელ ხელყვეს მისმა მტრებმა, და გამოჭედა თავისი მაღალი კულტურა, რომელმაც უკვე დიდი ხანია დაიკავა წამყვანი ადგილი მსოფლიო კულტურაში.

ჯერ კიდევ უძველესი კიევის რუსეთი იყო საერთაშორისო პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრი. მის შემდეგ ამაღლდა მოსკოვის სახელმწიფო, რომელიც რუსი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრე- [illegible]

რაინდების აგრესიული შეტევის წინააღმდეგ. რუსეთის ჯარებმა გაანადგურეს გერმანელი ჯვაროსნები ჩუდის ტბის ყინულზე და პოლონელთა და ჩეხთა რაზმებთან ერთად დიდი გამარჯვება მოიპოვეს გერმანელ დამპყრობლებზე გრიუნვალდის ბრძოლაში. რუსმა ხალხმა დაამარცხა და მოსპო 1812-1815 წლებში ნაპოლეონის ტირანია. რუსმა ხალხმა იხსნა თურქეთის სასტიკი უღლისაგან კავკასიისა და ამიერკავკასიის ეროვნებანი. რუსი ხალხის სისხლით იყო მორწყული ბალკანელი სლავების თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რაც მათ მიიღეს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად.

დიდი წარმატებებით აღინიშნა რუსი ხალხის კულტურული ცხოვრება. მიუხედავად ცარიზმისა და მემამულურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციის მძიმე პირობებისა, რუსმა ხალხმა მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკისა და ლიტერატურის ყველა დარგში მოგვცა პირველხარისხოვანი მოღვაწეები, რომლებმაც კაცობრიობა გაამდიდრეს აზროვნებისა და შემოქმედების უდიდესი მიღწევებით.

„იგორის ლაშქრობის ამბით“ დაწყებული, რუსული ლიტერატურა იზრდებოდა ჩვენი ხალხური ცხოვრების წიაღიდან და გამოხატავდა მის ყველაზე მაღალ და მოწინავე იდეალებს. პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ოსტროვსკი, ტურგენევი, ნეკრასოვი, ტოლსტოი, ჩეხოვი, მაქსიმ გორკი ყველაზე ძლიერი და მდიდარი ეროვნული ლიტერატურის წარმომადგენლები არიან, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მსოფლიო ლიტერატურის მთელ ისტორიაზე. რუსული გენიით შექმნილი მუსიკა, რომლის სათავეშიც არიან გლინკა, ჩაიკოვსკი, მუსორგსკი, რიმსკი-კორსაკოვი მსოფლიო მუსიკალური კულტურის დიდ მიღწევას წარმოადგენს. რუსული ფერწერის სკოლა ვენეციანოვის, პეროვის, რეპინის, სურიკოვისა და მათ თანამებრძოლთა პლეადის მეთაურობით გასული საუკუნის მსოფლიო სახვითი ხელოვნების უდიდესი მიღწევაა.

მეცნიერებაში რუსმა ხალხმა მოგვცა ლომონოსოვის გიგანტური ფიგურა. მისმა შრომებმა და გენიალურმა განჭვრეტამ განვითარების გზა გაუნათა მსოფლიო მეცნიერულ აზრს ორი საუკუნით წინ. მოწინავე მეცნიერული მსოფლმხედველობის წარმომადგენელთა და უდიდეს მეცნიერთა — მენდელეევის, სეჩენოვისა და პავლოვის სახელებით იწყება მეცნიერების ყველა დარგში რუს მოღვაწეთა ბრწყინვალე სია.

დიდია რუსი ხალხის ინიციატივა ტექნიკისა და ტექნიკურ გამოგონებათა დარგში, რომლებმაც ძირეულად შეცვალეს ადამიანის სასარგებლოდ ბუნების დამორჩილების გზები და მეთოდები. პაერნაოსნობის აღმოჩენა, რადიოს გამოგონება, ელექტრონობის შუქის წყაროდ გამოყენება, ორთქლის ძრავის მოწყობა და სხვ. განუყრელად დაკავშირებულია რუს მეცნიერთა და ტექნიკოსთა სახელებთან, დაწყებული გენიალური კულიბინით და დამთავრებული სახელგანთქმული მოჟაისკით, იაბლოჩკინითა და პოპოვით.

საზოგადოებრივი აზროვნების და სოციალურ მეცნიერებათა დარგში რუსმა ხალხმა მოგვცა ისეთი უდიდესი მოაზროვნეები, როგორიცაა რადიშჩე- [illegible]

ბით. თავისი [illegible] რუსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის შედეგად ჩამოყალიბდა რუსეთის პროლეტარიატის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები, რამაც უმაღლესი განსახიერება პოვა ბოლშევიკურ პარტიაში, ლენინ-სტალინის დიად პარტიაში.

რუსმა ხალხმა პირველმა აღმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი დროშა. ლენინის საქმის დიდი გამგრძობის ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხებმა რუსი ხალხის მეთაურობით ააშენეს სოციალისტური საზოგადოება, გადააქციეს ჩვენი სამშობლო მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით რუსმა ხალხმა, მდგომმა საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხების სათავეში, უდიდესი გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში ფაშიზმის შავბნელ ძალებზე და იხსნა მსოფლიოს ხალხები ფაშისტური დამონების საფრთხისაგან. ეს გამარჯვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა მეოხებით, რამაც წარსულში ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყანა გადააქცია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ეკონომიური სისტემის, უდიდესი ინდუსტრიისა და მძლავრი კოლექტივიზებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

უმაგალითო და აურაცხელია ჩვენი ხალხის წარმატებანი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში სოციალისტური მშენებლობის წლებში. რუსეთის ძველი ქალაქი მოსკოვი საბჭოთა დედაქალაქის თავისი ახალი სახით მსოფლიო პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრი გახდა.

თავის ძალებში, თავისი საქმის სიმართლეში დარწმუნებული საბჭოთა კავშირი ურყევად დგას მშვიდობის სადარაჯოზე, სათავეში უდგას მშვიდობის მსოფლიო ბანაკს. ჩვენი სოციალისტური სამშობლო მთელი პროგრესული კაცობრიობის სათავეში დაუღალავად იბრძვის ომის გამჩაღებლებისა და მსოფლიო რეაქციის შავბნელი ძალების წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ხუთი წლის წინათ წარმოთქვა ი. ბ. სტალინმა რუსი ხალხის სადღეგრძელო. განვლილ წლებში სსრ კავშირის ხალხებმა დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, შემოქმედებითი ენერგიისა და შრომითი ენთუზიაზმის ნამდვილი სასწაულები გვიჩვენეს თავისი საბჭოთა სამშობლოს აღდგენისა და შემდგომი პროგრესის საქმეში. მოკლე ისტორიულ პერიოდში საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის შედეგად მნიშვნელოვნად არის გადაჭარბებული სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონე, მიღწეულია კულტურის ახალი უდიდესი აყვავება, გადადგმულია ახალი დიდი ნაბიჯი წინ, კომუნიზმის გზაზე.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის ბრძნული და გენიალური ხელმძღვანელობით რუსი ხალხი თავის გარშემო აერთიანებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, ძმურ დახმარებას უწევს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების განთავისუფლებულ [illegible]

აკადემიკოსი ნ. დრუჟინინი

მისალმებათა ნაკადი

საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის პლენუმი

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

დროულად დავამთავროთ კლუბების მომზადება საზაფხულო მუშაობისათვის

ჯილდო კარგი მუშაობისათვის

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა გუნდი ევროპის ჩემპიონია

საბჭოთა მშენებლობა

სასოფლო საბჭო მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში

ერთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც პარტიისა და მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. გუდამაყრელ (დუშეთის რაიონი) კოლ... [illegible]

...ლიერებით, ზოოვეტმომსახურების ამაღლებით და ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებით, აგრეთვე ალრიცხვის კარგად დაყენებით გასულ წელს კოლმეურნეობებში თვითეულ საფურაჯე ძროხაზე მივიღეთ 752 ლიტრი რძე, ცოტა მეტი, ვიდრე გეგმით... [illegible]

...მეურნეობის წევრი თ. წიკლაური. მწველავმა მარიამ წიკლაურმა მიჩენილი 11 ძროხისაგან მიიღო და გამოზარდა 11 ხბო და თვითეულ ძროხაზე მიიღო 1.120 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 750 ლიტრისა. ასეთივე მაჩვენებლები... [illegible]

[illegible]

...განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდას. ამ საკითხზე შარშან სასოფლო საბჭოს სესიაზე და აღმასკომის სხდომაზე მრავალჯერ ვიმსჯელეთ. საკითხების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ დეპუტატები, აქტივი და მეცხოველეობის მუდმივი კომისია (ხელმძღვანელი მ. ბექაური). ამას გარდა, სამჯერ მოვაწყეთ მოწინავე მწყემსების, მწველავებისა და ფერმის გამგეების თათბირი. ამ თათბირებზე ერთმანეთს ვუზიარებდით გამოცდილებას, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. პირუტყვის მოვლა-პატრონობის გად... [illegible]

...და ფერმებს შორის. შეჯიბრების მიმდინარეობას ხშირად ვამოწმებთ და შედეგს აგიტატორებისა და დეპუტატების საშუალებით ყველა კოლმეურნეს ვაცნობთ.

შარშან თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ჩოხის კოლმეურნეობა „შრომის დროშის" ბრიგადირი ბ. აფციაური, რომელმაც 900 სული ცხვრის ნამატი 100 პროცენტით შეინარჩუნა და თვითეულ ცხვარზე მიიღო 3,2 კილოგრამი მატყლი, ნაცვლად 2,5 კილოგრამისა. მას ბევრად არ ჩამორჩება ამავე კოლ... [illegible]

...მწყემსებისათვის და სხვ.

არ დავკმაყოფილდებით მიღწეულით, უფრო მონდომებით ვიმუშავებთ პირუტყვის კარგი მოვლის უზრუნველსაყოფად, რათა ჩვენმა კოლმეურნეობებმა მიიღონ მეტი ყველი, ერბო, კარაქი, მატყლი, ხორცი, ტყავი და ამით კიდევ უფრო გაზარდონ სოციალისტური სამშობლოს ძლიერება.

სასოფლო საბჭო კვლავ იქნება მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობის სათავეში.

ვ. აფციაური

დუშეთის რაიონის გუდამაყრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ჩაის ფოთლის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

დღითიდღე ძლიერდება ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი საბჭოთა მეურნეობებში.

20 მაისისათვის გონიოს ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის აპრილ-მაისის გეგმა 190 პროცენტით შეასრულა, სალიბაურის—128,6, ნატანების—140, ლაითურის — 106, წულუკიძის — 118, დიდიჭყონის — 117,7, ნარაზენის—126,2, ხეცერის — 112, ხოლო აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ—101,8 პროცენტით.

ჩაის კრეფაში ჩამორჩა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც 20 მაისისათვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 60,4 პროცენტით, ოჩხამურის — 67,3 პროცენტით.

მზესუმზირას და შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავება

საქართველოს კოლმეურნეობებში 20 მაისისათვის გათოხნილია 12.300 ჰექტარი მზესუმზირა, რესპუბლიკური გეგმის 69 პროცენტი. აქედან თელავის რაიონში გათოხნის გეგმა შესრულებულია 92,6 პროცენტით, ახმეტის—91, ყვარლის—89,4, კაჭრეთის—88,7, სიღნაღის—85,3, თეთრი წყაროს—25,5, გურჯაანის—35,7, წითელწყაროს — 21,3, ლაგოდეხის—73,8, თბილისის გარეუბნის—25, საგარეჯოს რაიონში — 15,7 პროცენტით. მცხეთის რაიონში ეს სამუშაო არ დაუწყიათ.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გაჩაღებულია შაქრის ჭარხლის პირველი მსუბუქი გაფხვიერება და გამოხშირვა, გაფხვიერების გეგმა შესრულებულია 50,6 პროცენტით, გამოხშირვისა—25,5 პროცენტით.

სამხრეთ ოსეთში პირველი მსუბუქი გაფხვიერების გეგმა 15,4 პროცენტით არის შესრულებული, ხაშურის რაიონში — 35,7, ქარელის — 53,5, გორის—77,5, კასპის რაიონში — 60,9 პროცენტით.

გამოხშირვის გეგმა სამხრეთ ოსეთმა 3,6 პროცენტით შეასრულა, ხაშურის რაიონმა—13,7, ქარელის — 31,8, გორის—47,8, კასპის რაიონმა — 23,2 პროცენტით.

გადარგულია 7.079 ჰექტარი თამბაქო

20 მაისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებმა 7.079 ჰექტარი თამბაქო გადარგეს, რესპუბლიკური გეგმის 56,6 პროცენტი.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა თამბაქოს გადარგვის გეგმა 100 პროცენტით შეასრულეს.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა დავალება შეასრულეს 47,6 პროცენტით, აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა—34,4, ზუგდიდის რაიონის—56, ჩოხატაურის — 32,8, მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა — 77,5 პროცენტით.

კომბინატორები კაკაბეთიდან

კაჭრეთის რაიონის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა შესახებ მრავალი სიგნალი მიიღო გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ. შემოწმებით დადასტურდა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ამირანაშვილი, პარტბიუროს მდივანი ქ. გულაღაშვილი, ბუხჰალტერი ნ. ქელივაძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. ჭიკაძე და სხვა პირები... [illegible]

...რეობის ბრიგადირებს დაავალა, რომ დიდი ცხვრები გაეყიდათ ან გაეცვალათ პატარებზე. [illegible] 450 მანეთად [illegible] მანეთად სამი თოხლი იყიდა და საკოლმეურნეო ცხვარში გარია. დარჩენილი 270 მანეთი თვითონ მიითვისა.

კოლმეურნე შაქრო ოთიაშვილს მოსაველელად მიჩენილი ჰქონდა 0,5 ჰექტარი ვენახი. მან ვენახი კარგად დაამუშავა და ნაყოფიც კარგი მოიწია. [illegible]

ბინა მასწავლებელთათვის

ქუთაისი. („კომუნისტის" კორ.). სოფელ გეგუთის საშუალო და რვაწლიანი სკოლების ჩამოსულ მასწავლებელთათვის გეგუთის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა ააგო ახალი ორბინიანი საცხოვრებელი სახლი.

მთავრდება მასწავლებელთა ბინის კეთილმოწყობის სამუშაოები. სახლში გაყვანილ იქნება ელექტროგანათება.

აგიტმხატვრული ბრიგადა სოფლად

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონის კულტურის სახლმა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით კოლმეურნეთა მომსახურების მიზნით მოაწყო აგიტმხატვრული ბრიგადა.

ბრიგადამ კონცერტები გამართა ქვედა საზანოს, როდინოულის, ცხრაწყაროს, ზოვრეთის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებში.

რუსთავის არქეოლოგიისათვის

ქალაქი რუსთავი სწორედ იქ შენდება, სადაც შუა საუკუნეებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული საყრდენი, თბილისის მხარის დამამშვენებელი და მისი სამხრეთ-აღმოსავლეთის „კარი" იყო. ხშირად გამოკრთის ჩვენს მატიანეთა ფურცლებზე ამ ქალაქის სხვადასხვა სახელი: რუსთავი, ბოსტანქალაქი, ნაგები, ნაქალაქევი... „ესე აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან ციხე-ქალაქიო", — გვამცნობს მის შესახებ ვახუშტი.

მტკვრის მარცხენა ნაპირას დღესაც დგას მოზრდილი ციხე — თავის დროზე, ჩანს, მაგარი და არაერთგზის განახლებული. სწორედ ციხესთან აქვს „თავი" იმ მძლავრ „რუს", რომელიც ჩვენი ქვეყნის მზრუნველ მესვეურებს ჯერ კიდევ IV საუკუნეში გაუყვანიათ მტკვრის მარცხნივ მდებარე ველის საცოცხლებლად, მოსარწყავად. საფიქრებელია, რომ ამ რუს დიდი წილი უდევს ქალაქ რუსთავის განვითარებაშიც. XVIII საუკუნის დასაწყისში ეს რუ განაახლა... [illegible]

...პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაედგათ ამ მიმართულებით. უახლოეს ხანებში გაიხსნება ეს ჯერჯერობით მცირე, მაგრამ უეჭველად უკეთესი მომავლის მქონე მუზეუმი. შემდგომი მეცხიერული გათხრა და მოსალოდნელი მონაპოვრები დიდად გაამდიდრებს მის არქეოლოგიურ კოლექციებს.

შარშან, გეგმის შესაბამისად, ისტორიის ინსტიტუტმა გაგზავნა რუსთავში არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც ორი თვის განმავლობაში აწარმოვა ინტენსიური გათხრითი მუშაობა და საგრძნობლად წასწია წინ რუსთავის არქეოლოგიის შესწავლის საქმე. ექსპედიცია ამჟამადაც განაგრძობს მუშაობას.

თავდაპირველად ყველა არქეოლოგიური ძეგლი მტკვრის მარცხენა ნაპირზე იყო, 1949 წელს კი, როცა მშენებლებმა მტკვრის მარჯვენა ნაპირზეც იწყეს მუშაობა, ექსკავატორებითა და სხვა თანამედროვე მძლავრი მექანიზმებით აშლილ ფენებში საყურადღებო ნივთები აღმო... [illegible]

...მხარის მოსახლეობის სასაფლაო. სამარხები აქაც ორი ტიპისაა: ორმოსამარხები (უფრო ძველი დროისა) და ქვაყუთები (საშუალო საუკუნეებისა).

ექსპედიციამ 20-ზე მეტი ორმოსამარხი გათხარა. ისინი მინდვრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იყო თავმოყრილი, ერთმანეთთან ახლოახლოს, ზოგჯერ კი უშუალოდ მეზობლადაც... [illegible]

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲓ 23 ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 22 მაისი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით — გერმანელი ხალხის საკუთრებად გადასცეს საბჭოთა სააქციო საზოგადოებების 23 საწარმო — გაზეთმა „დერ მორგენმა" (ლდპ-ის ორგანო) გამოაქვეყნა ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრის ჰამანის, იუსტიციის მინისტრის ფეხნერისა და ტრანსპორტის მინისტრის რაინგრუბერის განცხადებანი.

„ეს სულგრძელი მოქმედება, — განაცხადა მინისტრმა ფეხნერმა, — ერთხელ კიდევ უჩვენებს გერმანელ ხალხს, თუ სად არიან მისი ნამდვილი მეგობრები. იგი უნდა გახდეს სტიმული ჩვენი ქვეყნის ყველა დემოკრატიული ადამიანისათვის და დააკისროს მათ ვალდებულება ენერგიულად დაუჭირონ მხარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას".

მინისტრმა რაინგრუბერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება „მკაფიოდ მოწმობს იმას, თუ რა წარმატებით იცავს საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და დემოკრატიის დიად საქმეს. ეს არის ისტორიული მოვლენა, რომლის სიდიდესა და მნიშვნელობასაც მადლობით აღიარებს ჩვენი რესპუბლიკის ყველა პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ადამიანი".

გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი" საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას უძღვნის სარედაქციო სტატიას.

„პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, — წერს გაზეთი, — ეს საწარმოები საბჭოთა კავშირის საკუთრება გახდნენ. მაგრამ მას არ მოუხდენია მათი დემონტაჟი, თუმცა ეს შეეძლო. ასიათასობით გერმანელმა მუშამ სამუშაო და პური იშოვნა ამ საწარმოებში. იმთავითვე მათი პროდუქცია სულ უფრო მზარდი ოდენობით ხმარდებოდა გერმანიის სახალხო მეურნეობის კეთილდღეობას. ახლა ეს საწარმოები მთლიანად ჩვენ გვეკუთვნის. საბჭოთა კავშირმა ისინი ჩვენ გვაჩუქა. ჩვენ მნიშვნელოვნად უფრო მდიდარი და ძლიერი გავხდით. ჩვენს, რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ ჩვენს გერმანელ ხალხს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს.

მხოლოდ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა სსრ კავშირისა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობათა სულგრძელი გადაწყვეტილებანი, რომლებმაც გერმანელი ხალხის სასარგებლოდ 50 პროცენტით შეამცირეს დარჩენილი სარეპარაციო ვალდებულებანი. საბჭოთა კავშირის სულგრძელი პოზიცია, რომელიც მოწმობს მზადყოფნას დახმარება გაგვიწიოს, ახალ ლახვარს სცემს ომის გამჩაღებლებს".

„ბერლინერ ცაიტუნგი" აღნიშნავს, რომ დასავლეთ გერმანიაში გრძელდება სამშვიდობო მრეწველობის საწარმოთა დემონტაჟი კონკურენციის მოსპობის მიზნით, აგრეთვე იმ საწარმოთა რემილიტარიზაცია და გაფართოება, რომლებიც საჭურველს ამზადებენ.

დასასრულ გაზეთი წერს: „საბჭოთა მთავრობის მიერ საბჭოთა სააქციო საზოგადოებათა საწარმოების გადმოცემა უფრო განამტკიცებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის მისწრაფებას — იაროს მეგობრობის არჩეული გზით და უფრო გაბედულად იბრძოლოს გერმანიის ერთიანობისათვის და მშვიდობის შენარჩუნებისათვის".

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 23 მაისი. (საკდესი). მშვიდობისათვის მებრძოლთა იმ კრების მონაწილეებმა, რომელიც ჰამბურგში შედგა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობას მოუწოდეს მშვიდობის საქმისათვის ერთობლივი ბრძოლისაკენ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილმა წევრმა გეიდორნმა ამ ბრძოლის საფუძველი უწოდა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის გადაწყვეტილებას.

ამ ბაზაზე, ნათქვამია მოწოდებაში, შეიძლება გაერთიანდნენ კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები და ყველა მსოფლმხედველობის ადამიანები. მოწოდებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამჟამად უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მშვიდობის შენარჩუნება.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 22 მაისი. (საკდესი). მთელ პოლონეთში ეწყობა მშრომელთა მასობრივი კრებები, რომელთა მონაწილენი სრულ სოლიდარობას უცხადებენ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას.

სახელმწიფო სამიწათმოქმედო ბანკის ცენტრალური გამგეობისა და სავოევოდო განყოფილებათა დირექტორების კრების მონაწილეებმა, რომლებიც ბანკის 12 ათას მოსამსახურეს წარმოადგენენ, ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში გამოთქვეს სურვილი იბრძოლონ მშვიდობის დასაცავად.

ქალაქ ლოძის უმაღლეს სასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების მსმენელებმა მასობრივ კრებაზე მიიღეს წერილი, რომლითაც მოუწოდებენ ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტებს ხელი მოაწერონ მუდმივი კომიტეტის მოწოდებას და გააჩაღონ ფართო კამპანია ხელმოწერის შესაგროვებლად.

ლიუბლინში მოეწყო ქსენძების — თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა კავშირის წევრების თათბირი, სადაც მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც გამოხატავს ლიუბლინის სავოევოდოს ქსენძების მისწრაფებას იბრძოლონ მშვიდობის დასაცავად.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 22 მაისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა მშვიდობის დაცვის ჩინეთის კომიტეტის სამუშაო კომისიის მე-4 სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა ღონისძიებანი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებაზე ჩინეთის სხვადასხვა რაიონში ხელმოწერის შეგროვების მოძრაობის გასაფართოებლად.

სხდომამ მოისმინა მოხსენება მუკდენში, ტიანძინში, შანხაიში, ჩუნცინში, კუნმინში, დალნში, ხარბინში, ჯენჯოუსა და ტაიუანში მშვიდობის დაცვის ჩინეთის კომიტეტის განყოფილებათა შექმნისა და ამ ქალაქებში მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვებისათვის მოძრაობის გაჩაღების შესახებ. შანხაიში ნახევარი თვის მანძილზე მოწოდებას ხელი მოაწერა 400 ათასმა კაცმა. მშვიდობის დაცვისათვის მოძრაობა გაჩაღდა სხვადასხვა დაწესებულებაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, სკოლებსა და საწარმოებში.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲐ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲧᲕᲔᲔᲑᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲐᲠᲗᲛᲔᲕᲡ ᲯᲐᲨᲣᲨᲣᲠ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 20 მაისი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო ჰანოვერიდან იუწყება, კარგად ინფორმირებული წრეებიდან ცნობილი გახდა, რომ უკანასკნელ კვირეებში ინგლისის ხელისუფლებმა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ყველა გერმანელ სამხედრო ტყვეს ჩააბარეს ანკეტები, რომლებითაც მათგან მოითხოვენ ტყვეობაში ყოფნის ადგილებისა და მუშაობის დაწვრილებით აღწერას. ყოფილმა სამხედრო ტყვეებმა, გარდა ცნობებისა სოციალური მდგომარეობის შესახებ, უნდა აღნიშნონ, თუ რა სპეციალური სწავლა მიიღეს ჰიტლერულ არმიაში, აგრეთვე ყოფილი სამოქალაქო პროფესია.

როგორც ჩანს, ეს ანკეტები განკუთვნილი იყო განმანაწილებელი ბანაკებისათვის, ვინაიდან ამ ანკეტებში არის შემდეგი შენიშვნა: „ამ ანკეტის შეუვსებლობის შემთხვევაში თქვენი განთავისუფლება შეფერხდება".

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 19 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ გუშინ პეკინს დაბრუნდა ჩინეთის პროფკავშირების დელეგაცია, რომელიც საპირველმაისო ზეიმს დაესწრო საბჭოთა კავშირში.

დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ვან ი-ჩენმა კორესპონდენტებს განუცხადა: „საბჭოთა მუშებმა და მთელმა საბჭოთა ხალხმა გულთბილად მიგვიღეს. ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა მუშების გიგანტურმა ღონისძიებებმა თავიანთი სამშობლოს ასაშენებლად, რომელიც დღითიდღე უფრო და უფრო ძლიერი ხდება. ეს აგრეთვე იმას მოწმობს, რომ იზრდება მშვიდობის ბანაკის ძალები".

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲞᲠᲐᲒᲐ, 20 მაისი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება, რომ ინგლისის ჯარები ემზადებიან დასავლეთ გერმანიაში ხანგრძლივი ყოფნისათვის. ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებმა დასავლეთ გერმანიის მარიონეტულ მთავრობას მოსთხოვეს 650 ახალი ყაზარმის აგება. ამ მშენებლობის ფასს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა გადაიხდის „საოკუპაციო ხარჯების" სახით.

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲝᲡᲚᲝ, 20 მაისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ნორვეგიის ნავსადგურებში შუა ზაფხულში ჩამოვა ინგლისის ესკადრა ადმირალ ფილიპ ვაიანის სარდლობით. ნორვეგიაში ესკადრის ყოფნის დროს ვაიანი დამოუკიდებლად იმგზავრებს ერთ-ერთი საესკადრო ნაღმოსნით მთელი ნორვეგიის სანაპიროს გაყოლებით.

გარდა ამისა, ნორვეგიაში ამ ზაფხულს ჩამოვლენ ინგლისის კრეისერი „დევონშირი" და წყალქვეშა ნავების მცურავი ბაზა „მედსტოუნი" წყალქვეშა ნავების თანხლებით.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 22 მაისი. (საკდესი). დღეს გაიხსნა ახალი მოწვევის მეჯლისის პირველი სხდომა, რომელზეც დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჯელალ ბაიარი არჩეულ იქნა თურქეთის პრეზიდენტად.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 22 მაისი. (საკდესი). ანკარის რადიოსადგურმა გადასცა ცნობა, რომ თურქეთის რესპუბლიკის ახალმა პრეზიდენტმა ჯელალ ბაიარმა მთავრობის ჩამოყალიბება აღნან მენდერესს მიანდო.

ბოლნისში არქიტექტორ ი. შავიშვილისა და ვ. ცხვარიშვილის პროექტით აშენებულია საშუალო სკოლა 800 მოსწავლისათვის. სკოლის შენობა აგებულია მთლიანად ადგილობრივი საშენი მასალით.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

26 და 27 მაისს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, 29) შედგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები:

1. პროფესორ ს. ბერაძისა — ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი;
2. მ. გველესიანისა — ჩაის ქართული ჯიშების განვითარების პერსპექტივები;
3. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ქ. დადიანისა — საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობაში წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ზოგიერთი საკითხისათვის;
4. პროფესორ პ. გუგუშვილისა — ზოგიერთი სადავო ქართული ეკონომიკური ტერმინის დაზუსტებისათვის.

სესიის სხდომები დაიწყება საღამოს 8 საათზე.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია მიმდინარე წელს ქალაქ თბილისში აწყობს ვოკალისტ-შემსრულებელთა კონკურსს ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებთა შესრულებაზე — 28-30 ოქტომბერს, ვიოლინოს დამკვრელთა კონკურსს — 18-20 ნოემბერს, პიანისტთა კონკურსს — ბეთჰოვენის დაბადების 180 წლისთავის აღსანიშნავად—8-11 დეკემბერს.

კონკურსის პირობების შესახებ ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო განყოფილებაში (პლეხანოვის პროსპ. 123).

ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲛᲐᲢᲩ-ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ

21 მაისს დამთავრდა გადადებული პარტიები. უკრაინელმა ოსტატმა ბანიკმა მოუგო გერშკოვიჩს და ყაიმით დაამთავრა ქარსელაძესთან. ილივიცკიმ მოუგო სოროკინს, ქარსელაძემ წააგო შიშოვთან.

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

21 მაისს გათამაშდა მეშვიდე ტური. ზარგარიანმა ადვილად მოუგო ნაჭყებიას, გელოვანმა მოუგო ნანიკაშვილს. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

ᲧᲣᲚᲘᲐᲨ ᲑᲐᲘᲡᲔᲘᲢᲝᲕᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ალმა-ატის აბაის სახელობის საოპერო სცენაზე დიდი წარმატებით იდგმება ქართველ, რუს და დასავლეთევროპელ კომპოზიტორთა ოპერები. განსაკუთრებული წარმატება აქვს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისს".

ამას წინათ ქართველ ხელოვანთა ბრიგადამ იმოგზაურა ყაზახეთში; ბრიგადაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები დ. ანდღულაძე და პ. ამირანაშვილი. ჩვენმა მსახიობებმა მონაწილეობა მიიღეს ვერდის ოპერა „ოტელოში", რომელიც პირველად დაიდგა ალმა-ატის სცენაზე, აგრეთვე ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისში", ყაზახეთის სახალხო არტისტ ყულიაშ ბაისეიტოვასთან ერთად. დ. ანდღულაძე და პ. ამირანაშვილი პარტიებს ქართულ ენაზე ასრულებდნენ. დიდი გულისხმიერებით მიიღეს ქართველი მსახიობები მოძმე რესპუბლიკაში და გადაწყვიტეს მჭიდრო მეგობრული კავშირი დაამყარებინათ საქართველოს ხელოვნების მუშაკებთან.

30 მაისიდან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში იწყება ალმა-ატის აბაის სახელობის თეატრის სოლისტის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ყულიაშ ბაისეიტოვას გასტროლები. იგი მონაწილეობას მიიღებს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისში", ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინში" და პუჩინის „ჩიო ჩიო სანში". ყულიაშ ბაისეიტოვა ყველა სპექტაკლში თავის პარტიებს შეასრულებს ყაზახურ ენაზე.

Ლ Ე Ქ Ც Ი Ა

24 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სს რესპუბლიკის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და მასწავლებლის სახლის დირექცია მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) აწყობენ საზოგადოების ნამდვილი წევრის **ვ. მაჭავარიანის** ლექციას თემაზე: **„თანამედროვე სოციალ-გამცემლობის იდეოლოგია".**

ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი „მშვიდობიანობა გაიმარჯვებს ომზე".

შაბათს, 27 მაისს, დილის 11 საათზე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია იწვევს ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲡ.

თათბირზე საკუთარ კორესპონდენტთა დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
Ბ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 22 მაისი. (საკდესი). სამი წევრი ინგლისელი მუშების დელეგაციისა, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, გუშინ გამოვიდა ჰამერსმიტის (ლონდონი) საქალაქო რატუშაში გამართულ მიტინგზე. ეს იყო ყველაზე ხალხმრავალი მიტინგი მრავალი წლის განმავლობაში. რატუშის დარბაზი ათასზე მეტ კაცს იტევს, მაგრამ ინტერესი მიტინგისადმი ისე დიდი იყო, რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში ყველა ადგილი დაიკავეს და ბევრი მსმენელი ფეხზე იდგა. ვინაიდან ბევრი მსურველი დარბაზში ვერ მოხვდა, ქუჩაში გაიმართა კიდევ ერთი მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ასეული კაცი დაესწრო.

მიტინგი მოაწყო ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ. თავმჯდომარეობდა დამოუკიდებელი ლეიბორისტი პარლამენტის ყოფილი წევრი პლეტს-მილსი.

პირველმა სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის წევრმა ჯორჯ ჰატჩინსონმა — მეინსტრუმენტე მუშამ და ფირმა „ემის" ქარხნის საამქროს ოსტატმა.

მან დამსწრეთ უამბო ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რომელიც დელეგაციის წევრებმა მოსკოვში ნახეს და ენთუზიაზმით ილაპარაკა მაღაზიებზე, რომლებშიც დიდძალი ხალხი იძენდა მრავალფეროვან საქონელს, რაც მაღაზიებში იყიდებოდა. შემდეგ მან ილაპარაკა მოსკოვის ზუსტი ხელსაწყოების ქარხნის, კიევის ქალთა სკოლის დათვალიერებაზე და მაღალი შეფასება მისცა ინგლისური ენის ცოდნის დონეს.

ამის შემდეგ მან დამსწრეთ გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი სოჭის შესახებ. მან განაცხადა:

„ეს ერთ-ერთი უმშვენიერესი ადგილია, რომელიც კი ჩემს სიცოცხლეში მინახავს. ინგლისში ამ ქალაქს ვერაფერი შეედრება. ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სანატორიუმი სოჭში სასახლეს ჰგავს. იგი ისე ლამაზია, რომ სიტყვა ვერ მიპოვნია მის აღსაწერად".

ჰატჩინსონმა ასეთივე აღტაცებით ილაპარაკა საავადმყოფოების, კოლმეურნეობების დათვალიერებაზე და განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეეხო სტალინგრადში მგზავრობას, სადაც დელეგაციის წევრები გააოცა აღდგენითი სამუშაოების მასშტაბმა.

შემდეგ გამოვიდა ლეიბორისტი დელეგატი ჰარი ლაიოლი — მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის წევრი. მიტინგის დამსწრენი ხშირად აწყვეტინებდნენ მას სიტყვას მქუხარე ტაშით. ლაიოლმა აღიარა, რომ როცა მოსკოვს მიემგზავრებოდა, ბევრი ეჭვი ჰქონდა. „ახლა, — თქვა მან, — ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, — და სიხარულით ვასრულებ ამ მოვალეობას, — რაც შეიძლება მალე გავავრცელო სიმართლე რუსეთის შესახებ. ჩვენი დელეგაციის ამოცანა მეტად მნიშვნელოვანია და მისი შესრულება დიდი ბედნიერებაა. ჩვენ ვილაპარაკებთ სიმართლეს და, თუ თქვენ დაეთანხმებით იმას, რასაც გეტყვით, მაშინ თქვენ უფრო გადამწყვეტი პოზიცია უნდა დაიკავოთ მშვიდობისათვის ბრძოლაში, რათა ჩაშალოთ ომის გამჩაღებელთა გეგმები, და ჩვენ შევძლებთ მუდამ მშვიდობიანად ცხოვრებას".

ლაიოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დელეგატებს სსრ კავშირში სრული თავისუფლება ჰქონდათ. „იმათ, ვინც ფიქრობს, რომ რუსები მტრულად ეპყრობიან ინგლისელ ხალხს, შეუძლიათ ახლავე აიღონ ხელი ამ აზრზე. ჩვენ ყველგან უაღრესად გულთბილად გვხვდებოდნენ და ყველგან ნამდვილ ამხანაგობასა და მეგობრობას ვგრძნობდით".

შემდეგ გამოვიდა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მდივანი უილიამ უეინრაიტი, რომელმაც განაცხადა, რომ, თუ არსებობს რკინის ფარდა, იგი ინგლისელთა შექმნილია. დელეგაციის წევრები სრულიად დაუბრკოლებლად ჩავიდნენ საბჭოთა კავშირში, მაგრამ ზოგიერთი მათგანი შიშობდა, ინგლისში დაბრუნებისას სამუშაოს დავკარგავო.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დელეგაციის წევრებზე იმ ფაქტმა მოახდინა, რომ რუსეთში ცხოვრების სურათი, რასაც ინგლისური პრესა ხატავს, აბსოლუტურად ყალბია. უეინრაიტმა მწვავედ ილაპარაკა იმაზე, რომ ინგლისის ბურჟუაზიული პრესა ამახინჯებდა დელეგატთა განცხადებებს ინგლისში მათი დაბრუნების შემდეგ. დანაშაულებრივია ის მეთოდები, რომლებსაც ინგლისური პრესა ხმარობს იმისათვის, რომ შეასუსტოს ჩვენი ცდა — განვამტკიცოთ მეგობრობა ინგლისელ და საბჭოთა ხალხებს შორის, — განაცხადა უეინრაიტმა ტაშის გრიალში.

დასასრულ უეინრაიტმა დამსწრეთ მოუწოდა — განვამტკიცოთ მშვიდობა და მეგობრობა საბჭოთა კავშირთანო.

ᲟᲝᲚᲘᲝ-ᲙᲘᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 22 მაისი. (საკდესი). კემბრიჯის უნივერსიტეტის ომის მოწინააღმდეგე მეცნიერთა ჯგუფმა, მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტმა და ქალთა საერთაშორისო დღის დღესასწაულის მომწყობმა კომიტეტმა ერთად მოიწვიეს მიტინგი, რომელმაც ერთსულოვნად მიიღო საპროტესტო რეზოლუცია საფრანგეთის მთავრობის მიერ ატომის ენერგიის უმაღლესი კომისრის პოსტიდან პროფესორ ჟოლიო-კიურის გადაყენების წინააღმდეგ. მიტინგზე თავმჯდომარეობდა კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი ქალი დოქტორი ვუსტერი. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვეს დოქტორმა პირ ბიკერმა, პროფესორმა ბერნალმა, მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის თავმჯდომარემ კროუტერმა, ქალთა საერთაშორისო დღის დღესასწაულის მომწყობი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა ფრედა ჯეფრიმ და სტუდენტთა ლეიბორისტული ფედერაციის წარმომადგენელმა ეულერ დევისმა.

მიტინგზე გადაწყდა — საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ბიდოს გაეგზავნოს საპროტესტო რეზოლუცია ჟოლიო-კიურის გადაყენების წინააღმდეგ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲟᲝᲚᲘᲝ-ᲙᲘᲣᲠᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 22 მაისი. (საკდესი). კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა საფრანგეთის საელჩოს ლონდონში გაუგზავნა პროტესტი საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ ჟოლიო-კიურის დევნის წინააღმდეგ. „საფრანგეთის მთავრობის ეს მოქმედება, — ნათქვამია პროტესტში, — მეტად მკაცრი უსამართლობაა იმ ადამიანის მიმართ, რომლის სახელი განთქმულია მსოფლიოში არა მარტო თვალსაჩინო დამსახურებით მეცნიერების დარგში, არამედ იმის მეოხებითაც, რომ იგი ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი და გულწრფელი პატრიოტია. მან ჩვენი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა იმით, რომ მუდამ აღნიშნავს, მეცნიერება და განსაკუთრებით მეცნიერება ატომის ენერგიის შესახებ გამოყენებულ უნდა იქნას ადამიანის საკეთილდღეოდ და არა მის მოსასპობად".

ინგლისელი მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის მთავრობის მოქმედება ჟოლიო-კიურის მიმართ „დაგმობილ უნდა იქნას, როგორც წმინდა სამხედრო მიზნებით ატომის ენერგიის დარგში მოკვლევის გზაზე გადადგმული ახალი ნაბიჯი".

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 22 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ 24 მაისს ბისკაის ყურეში გაიმართება ინგლისის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის ფლოტების მანევრები.

მანევრების პროგრამაში შედის: ავიანოსნებიდან და სახმელეთო აეროდრომებიდან მოქმედი თვითმფრინავების, აგრეთვე წყალქვეშა ნავების თავდასხმა ფლოტების ძალებზე; კრეისერების ღამის იერიში უფრო მძიმე გემების წინააღმდეგ; საფრანგეთის სანაპიროს წინააღმდეგ იერიშის მიტანა ავიანოსნებიდან მოქმედი თვითმფრინავებით.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დიდი ყურადღება მიექცევა კავშირგაბმულობის საშუალებებს, კერძოდ, კავშირგაბმულობის სტანდარტიზაციას. ამჟამად სტანდარტიზაცია ხორციელდება ყველა ფლოტში, ამასთან საფუძვლად იღებენ ინგლისურ ენას.

საფრანგეთის მხრივ მანევრებში მონაწილეობენ შემდეგი ხომალდები: კრეისერი „ჟორჟ ლეიგი" 7.600 ტონა წყალწყვისა და მსუბუქი კრეისერი „ფანტასკი" 2.569 ტონა წყალწყვისა.

ბისკაის ყურეში მანევრების შემდეგ ხომალდები გადაჯგუფდებიან და განაგრძობენ ხანგრძლივ მანევრებს მთელი ზაფხულის მანძილზე ხმელთაშუა ზღვიდან ნორდკაპამდე და ბალტიკამდე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

25 ᲛᲐᲘᲡᲡ

7.20 — საუბარი გლეხობისათვის: მეცხოველეობის მაღალი კულტურისათვის. 9.15 — ლიტერატურული გადაცემა. ნაწყვეტი ნ. ლორთქიფანიძის რომანიდან „მრისხანე ბატონი". 17.20— ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი. პროგრამაშია ი. ტუსკიას ნაწარმოებები. 17.40— გადაცემა მოსწავლეთათვის. საუბარი მძლეოსნობაზე. 18.20 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. საუბარი ტექნიკის საკითხებზე. 19.15 — მოცარტის სიმფონია. 21.00 — სტალინური პრემიის ლაურეატის პანტოფელ-ნეჩეცკაიას კონცერტის ტრანსლაცია.

Თ Ე Ა Ტ Რ Ე Ბ Შ Ი

24 ᲛᲐᲘᲡᲡ: მარჯანიშვილის სახელობის — „მოსკოვიდან დაშორებით"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ქალიშვილი სურით"; **სომხური დრამის** — „ალასი"; **მუსიკალური კომედიის**—„მხიარული ქვრივი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „მშვიდობის მტრედები" (56-ე აბ. 3 ს.), „გაქვავებული ქალაქი" (27-ე აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „შინ დაბრუნება მინდა" (72-ე, 95-ე აბ. დღის 10 ს., 93-ე, 117-ე აბ. 2 ს.).

Კ Ი Ნ Ო Ე Ბ Შ Ი

24 ᲛᲐᲘᲡᲡ: რუსთაველის სახელობის, „ამირანი" (ზამთრის და ზაფხულის დარბაზი), „ოქტომბერი", „სპარტაკი" და „ისანი" — „დუნაის შვილი"; **„თბილისი"** — „ჭაბუკი ტაიგიდან"; **„კომკავშირელი"** — „ყუბანელი კაზაკები"; **26 კომისრის სახელობის პირველი დარბაზი** — „პეპო"; **მეორე დარბაზი** — „ის კიდევ დაბრუნდება"; **„კოლმეურნე"** — „გამარჯვებულთა დაბრუნება"; **„ქრონიკა"** — „დაკარგული სიგელი".

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲝᲠᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ აცხადებს მსმენელთა მიღებას 1950-51 სასწავლო წლისათვის.

უნივერსიტეტს აქვს ფილიალები: 1. მეცნიერ მუშაკებისათვის, 2. პედაგოგებისათვის, 3. სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკებისათვის, 4. ხელოვნების მუშაკებისათვის.

უნივერსიტეტში შესვლის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ მუშაობის ადგილის მიხედვით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სათანადო რაიონულ კომიტეტებს. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განცხადება უნივერსიტეტის დირექტორის სახელზე, 2. კადრების აღრიცხვის ფურცელი, 3. ავტობიოგრაფია, 4. განათლების საბუთის ასლი, 5. პარტიული და სამსახურებრივი დახასიათებები, 6. ორი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3X4).

განცხადებების მიღება და მსმენელთა ჩარიცხვა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის სამედიცინო-სანიტარული შრომის მუშაკთა ფილიალში იწარმოებს 15 აგვისტომდე.

მეცნიერ მუშაკთა, პედაგოგთა და ხელოვნების მუშაკთა ფილიალში — 20 ივნისამდე.

მეცადინეობა უნივერსიტეტში დაიწყება 1 სექტემბერს. ცნობების გაცემა წარმოებს საღამოს უნივერსიტეტის სამდივნოში ყოველდღე საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე.

მისამართი: ლენინის ქ. № 98, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ახალი კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი № 24.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ აცხადებს, რომ ა) 1950 წლის 6 ივნისს, დღის 1 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მარის ქ. № 1) იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მ. ნ. რაზმაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულება".**

ოფიციალური ოპონენტები: **პროფესორი დოქტორი დ. პოლუმორდვინოვი,** მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **გ. ერემოვი.**

ბ) 1950 წლის 7 ივნისს, დღის 1 საათზე, № 96 აუდიტორიაში (მარის ქ. № 1) ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ა. ლ. ლაზარევი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბერძნული ენის წალკური დიალექტი".**

ოფიციალური ოპონენტები: **პროფესორი დოქტორი ს. ყაუხჩიშვილი,** მეცნიერებების კანდიდატი დოცენტი **ნ. კეჭაყმაძე.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ტრესტ „საქართველოს ჩაის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ი. დემურიშვილს მისი მამის **იაკობ ივანეს-ძე დემურიშვილის** გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თ. ბარამიძეს მისი დედის **სონია მიხეილის ასულ ბარამიძის** გარდაცვალების გამო.

ლ. თოთობაძე, გ. ხიმშიაშვილი, ვ. ფხაკაძე, მ. გაბუნია, ს. ალხაზიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მ. ბარამიძეს მისი დედის **სონიას** გარდაცვალების გამო.

შვილი ნუგზარ, ძმები ზაქარია, სერგო, დები თამარ, ქენია მათიაშვილები, დისწული ვაჟა ბასილია იუწყებიან **ნიკოლოზ სამსონის-ძე მათიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-V, 5 ს. დაბა სურამში, გამოსვენება ლენინის, 151.

თამარ, კიაზო, ლიზიკო, გიორგი, ნინო, ალევტინა ბარნაბიშვილები იუწყებიან დოცენტ **ნინო დიმიტრის ასულ ალექსიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-V, 7 ს. გამოსვენება 25-V, 6 ს. მეტეხის მე-2 ჩიხი, 6.

მეუღლე ილია, შვილები პავლე, სოსო თავბერიძეები, მულები ოლა გოგიბერიძე, ნინო ხურციძე, მარო ტოტოჩავა შვილებით იუწყებიან **მარო ივლიანეს ასულ თავბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-V, მელექედურში (მახარაძის რაიონი).

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ი. აფაქიძეს მისი დედის **ძაძუ ვარადებულის ასულ აფაქიძის** გარდაცვალების გამო.

ქიმიური კომბინატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გ. პ. ბერაძეს მისი სიდედრის **ძაძუ ვარადებულის ასულ აფაქიძის** გარდაცვალების გამო.

და ეკატერინე ტყეშელაშვილი, დისწულები ივანე, სოფიო, ზინა, სიძეები გ. ჯულელი, გ. ჯიქია, რძლები მარგარიტა, მარო შვილებით იუწყებიან **სევასტი გლახუას-ძე კუჭუხიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-V, 8 ს გამოსვენება 25-V, 6 ს. ვაშლოვანის, 6.

სამედიცინო ინსტიტუტის სანიტ-ჰიგიენური და პედიატრიული ფაკულტეტების ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკის და ქალაქის I საავადმყოფოს I თერაპიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან დოცენტ **ნინო დიმიტრის ასულ ალექსიძის** გარდაცვალებას.

შვილები მერი, ვერა, იაკობ, ივანე, რძლები ირინე, ნადეჟდა, სიძე ირაკლი ძოძუაშვილი შვილებით იუწყებიან **იაკობ ივანეს-ძე დემურიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-V, 8 ს. გამოსვენება 25-V, 6 ს. ტრამვაის შესახვევი, 9.

დედა მარო, შვილი რუსუდან, და ქეთო, დეიდა ელენე ჰავჰანიძე იუწყებიან, რომ 26-V, ქ. წულუკიძეში დანიშნულია მწერალ **დავით შამათავას** პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-05-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციის და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03324